ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის განყოფილების ხელმძღვანელს

ქალბატონ ბილჰანა რადონჟიკ კერ-ლინდსეის

აზიის განვითარების ბანკს

ევროპის საინვესტიციო ბანკს

ქალბატონო რადონჟიკ კერ-ლინდსეი,

მესტიის მუნიციპალიტეტის ჭუბერის თემის სახელით, პირველ რიგში გვინდა მადლობა გადაგიხადოთ საინტერესო პასუხისთვის ნენსკრა ჰესის თაობაზე. მისასალმებელია, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს ჯერ არ მიუღია ჭუბერისა და ნაკრას თემისთვის საზიანო პროექტში მონაწილეობაზე დადებითი გადაწყვეტილება და იმედს ვიტოვებთ, რომ ასეთ გადაწყვეტილებას არც მიიღებს.

აქვე გვსურს, დავაზუსტოდ თქვენს წერილში წარმოდგენილი რამოდენიმე საკითხი, რაც ჩვენთვის საკმაოდ ბუნდოვანია. კერძოდ, წერილში ნათქვამია, რომ ბანკი ამჟამად ატარებს დეტალურ გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების შეფასებას, სადაც გათვალისწინებულია თემის მიერ დასმული საკითხები და რომ კონსულტაციების პერიოდში (მინიმუმ 60 დღე) მოგვეცემა საშუალება ჩვენს პრობლემებზე სასაუბროდ და ჩვენი შენიშვნების წარსადგენად <u>პროექტზე</u>.

როგორც 18 აპრილის წერილში ავღნიშნეთ ჩვენ გვაქვს 4 კონკრეტული მოთხოვნა: შეწყდეს პროექტის დაფინანსების ყოველგვარი განხილვა მანამ, სანამ:

1. არ მოხდება ისეთი ალტერნატიული ვარიანტის შესწავლა, რომელიც არ გულისხმობს ხეობის დატბორვას;
2. არ იქნება წარმოდგენილი ინფორმაცია თუ რა სარგებელს მოუტანს პროექტი ჩვენს თემს და ქვეყანას და რამდენად საპირწონეა ეს სარგებელი იმ ზიანის რაც მიადგება ჩვენს თემს და მთლიანად საქართველოს;
3. არ მოხდება გეოლოგიური საფრთხეების შეფასება და ჩვენთვის წარმოდგენა;
4. არ მოხდება პროექტის საყოველთაო საჯარო განხილვების მოწყობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სადაც ჩართულნი იქნებიან, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტები, ისე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

ჩვენი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ბუნდოვანია, რას გულისხმობს პასუხში წარმოდგენილი განმარტება, რომ ბანკის მიერ მიმდინარეობს პროექტის დეტალური შეფასება. გვაინტერესებს

უშუალოდ პროექტის რომელი ალტერნატიული ვარიანტის დეტალური შეფასება მიმდინარეობს? ვარიანტის რომელიც გულისხმობს 135 მეტრის სიმაღლის კაშხლის მშენებლობასა და 400 ჰექტარი ფართობის დატბორვას, თუ მისი ისეთი ალტერნატივის, რომელიც არ გამოიწვევს, ჩვენი, როგორც მკვიდრი მოსახლეობის სათემო მიწების დატბორვას და ჩვენი სასიცოცხლო გარემოს გაუარესებას?

გარდა ამისა წერილში აღნიშნავთ, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ დაინტერესებული მხარეების ჩართულობით კონსულტაციების პრინციპს, რის გამოც თხოვეთ საპროექტო კომპანიას ჩამოეყალიბებინა პროცედურები, რომელთა საშუალებითაც დაინტერესებულ მხარეებს (მათ შორის ჩვენც) შეეძლებოდათ შეკითხვების დასმა ან საჩივრის წარდგენა.

მიუხედავად თქვენი თხოვნისა, როგორც ჩანს საპროექტო კომპანიას და ენერგეტიკის სამინისტროს აბსოლუტურად განსხვავებული პოზიცია აქვთ აღნიშნულ საკითხზე და სრულიად საპირისპირო ქმედებებს ახორციელებენ, რაც ნათლად გამოჩნდა ბოლო კვირის და განსაკუთრებით ბოლო დღეების განმავლობაში.

მას შემდეგ სამშენებლო კომპანია სალინის წარმომადგენლები ორჯერ შეგვხვდნენ და შეგვპირდნენ, რომ ყველა საკითხს გაითვალისწინებდნენ და მოსახლეობასთან შეთანხმების გარეშე პროექტს არ გააგრძელებდნენ. ა.წ. 15 მაისს კი ნენსკრა ჰესის წარმომადგენლები და მათი მხარდამჭერები მოულოდნელად ამოვიდნენ ჭუბერში ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე და გამართეს მოსახლეობასთან ეგრეთწოდებული შეხვედრა, რომელსაც დაახლოებით 15-იოდე ადგილობრივი ესწრებოდა (ჭუბერისა და ნაკრას თემში 400 ოჯახი ცხოვრობს). შეხვედრაზე კომპანია ნენსკრას მესვეურებმა ხოტბა შეასხეს კიდევ ერთხელ პროექტს და თავიდან აიცილეს კონკრეტული კითხვები, რის გამოც შეხვედრა ადგილობრივებმა (გარდა რამოდენიმე მომხრესი რომელსაც პირდაპირი ფინანსური ინტერესი გააჩნია) ნაადრევად დატოვეს. ამ შეხვედრაზე ჩამოვიდა ორი ადამიანიც - ლია ცინდელიანი და მირონ ფირცხელანი, რომლებმაც განაცხადეს რომ არიან კომპანიასა და მოსახლეობას შორის შუამავლები, თუმცა ჭუბერის თემს არანაირი შეხება ამ ადამიანებთან არ აქვს და გაუგებარია ვინ დანიშნა ისინი შუამავლებად.

ა.წ. 20 მაისს კი დილიდანვე შეიკრიბა პოლიცია ჭუბერში. ისინი აქციაზე შეკრებილ ხალხს ეუბნებოდნენ, რომ დაშლილიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მოხდებოდა ძალის გამოყენება. ამის შემდეგ გამოჩნდა სამშენელო ტექნიკა, რომელსაც უკან მოჰყვებოდა პოლიციის და სპეცდანიშნულების მანქანები და ოპერატორი რომელიც ამ ყველაფერს იღებდა. ჩვენთვის ნათელი გახდა პოლიციის გეგმა. მათი გათვლით მას შემდეგ რაც ჩვენ სამშენებლო ტექნიკას არ გავატარებდით, პოლიციას მიეცემოდა ძალის გამოყენების შესაძლებლობა.

დაგეგმილი პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად, ჩვენ გავატარეთ სამშენებლო ტექნიკა და ვინაიდან პოლიციის გეგმა ჩაიშალა, მათ დაიწყეს სრულიად უკანონოდ ადამიანების დაკავებები გაუგონარი მიზეზებით. შედეგად, პოლიციამ ხაიშისა და ჭუბერის თემის რვა ახალგაზრდა დააპატიმრეს და პოლიციის რაზმები ჩააყენეს ჭუბერში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჭუბერის თემი, ზემო სვანეთის სხვა თემებთან ერთად აპირებს შეხვედრის მოწყობას და საერთო გადაწყვეტილების მიღებას სვანური ტრადიციების შესაბამისად, რაც გულისხმობს სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტას ნენსკრა ჰესზე. კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ ჩვენს აზრს: ჭუბერის თემი არ დაუშვებს პროექტის იმ ვარიანტის განხორციელებას, რომელიც გულისხმობს კაშხლის მშენებლობას და ჩვენი ხეობის დატბორვას და არ შეეგუება საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და სამშენებლო კომპანიის ძალადობრივ ქმედებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ ამ პროექტის დაფინანსების მსურველ ბანკებს: შეწყვიტეთ ყოველგვარი დაფინანსების შესაძლებლობის განხილვა ამ პროექტისათვის და გაემიჯნეთ ენერგეტიკის სამინისტროსა და სამშენებლო კომპანიის ძალადობრივ ქმედებებს და ნუ გახდებით ამ ძალადობის თანამონაწილენი.

პატივისცემით,

მესტიის მუნიციპალიტეტის ჭუბერის თემი

N	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ტელეფონი	სოფელი	ხელმოწერა
1	[illegible]	30001007799	595 27 44 45	ჭუბერი	[illegible]
2.	[illegible]	62004024254	598-32-40-26	ჭუბერი	[illegible]
3	[illegible]	30001000138	595-40-58-97	ნესგა	[illegible]
4	[illegible]	30001009984	551-83-74-83	ჭუბერი	[illegible]
5	[illegible]	30001002929	558-38-90-70	ჭუბერი	[illegible]
6	[illegible]	62007014496	598-53-27-21	ჭუბერი	[illegible]
7.	[illegible]	30001004060	591-05. 11.21	ჭუბერი	[illegible]
8.	[illegible]	30001003705	595-36-86-85	[illegible]	[illegible]
9.	[illegible]		599269719	ჭუბერი	[illegible]
10.	[illegible]	30001009260		ჭუბერი	[illegible]
11.	[illegible]	30001004836	599939401	[illegible]	[illegible]
12.	[illegible]	30001002671	598 279558	ჭუბერი	[illegible]
13	[illegible]	30001004730		ჭუბერი	[illegible]
14.	[illegible]	30001008990	595135361	ჭუბერი	[illegible]
15.	[illegible]	30001009972	598433441	ჭუბერი	[illegible]